საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ესპანური ფილოლოგია / Spanish Philology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Spanish Philology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სოფიო ფეიქრიშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი: პროგრამა მიზნად ისახავს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ბაკალავრიატის სტუდენტებს მისცეს ფართო და გაღრმავებული ცოდნა ესპანური ფილოლოგიის სფეროში, რაც გულისხმობს ენის სისტემის ფუნქციონირების წესების ცოდნას, სამეცნიერო ტერმინოლოგიის დაუფლებას, ესპანური ფილოლოგიის სფეროში მუშაობის მეთოდების ცოდნას, ესპანური ენის ცოდნა (B2), ესპანური ლიტერატურის მთავარი მხატვრული ტენდენციებისა და ესპანეთის სოციოკულტურული განვითარების ძირითადი თავისებურებების ცოდნას. შეძენილი ცოდნა და მუშაობის უნარ-ჩვევები შეუქმნის სტუდენტს საფუძველს ცოდნის შემდგომი გაღრმავების, პროფესიონალურად ორიენტირებული სრულყოფისათვის.

პროგრამის შედეგები: ევროსაბჭოს უცხოური ენების კომისიის მიერ შემუშავებული უცხოური ენების სწავლებისა და შეფასების სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტში განსაზღვრული დონეების შესაბამისად და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით სტუდენტს ეცოდინება:

- გაგება და გამოყენება ყოველდღიური ლექსიკის და მარტივი წინადადებების;
- კონკრეტული ტიპის მოთხოვნის დაკმაყოფილება;
- თავის წარდგენა;
- კითხვების დასმა და კითხვებზე პოასუხი პირადი ცხოვრებიდან;
- ურთიერთობის დამყარება, რომელიც მოითხოვს პირდაპირ და მარტივ ინფორმაციის გადმოცემას ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- სიტუაციის კონტროლი მოგზაურობის დროს;
- საუბარი თემაზე რომელიც შეეხება პირად ინტერესებს;
- რთული ტექსტის მთავარი აზრის გაგება კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემაზე;

- თავისუფალი საუბარი ენის მატარებელთან;
- შეუძლია შექმნას გასაგები ტექსტი სხვადასხვა თემებზე და გამოხატოს საკუთრო აზრი;
- ენის ცოდნის ისეთი დონე, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს თავისუფლად, გამართულად და ფუნქციონალურად, ადეკვატურად გამოიყენოს სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, პრაქტიკული უნარები:

- ინფორმაციის მიღება; ტექსტის ფორმის და შინაარსის აღქმა, სპონტანური საუბარი,ტექსტის გაგება, მასში მოცემული ინფორმაციის კრიტიკული ხედვა და შეფასება;
- ტექსტის აგება, აზრის თავისუფლად გამოთქმა; კითხვების დასმა და კითხვებზე პოასუხი; პრობლემების ამოცნობა და გადაჭრა კონკეტულ სიტუაციაში;
- მხატვრული ტექსტის ანალიზი, სინთეზი; სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება და მეცნიერული კვლევა; ინფორმაციის მოძიება, დალაგება, შეჯამება და გამოყენება.

ზოგადი/ტრანსფერული უნარი:

- განმარტება და საკუთარი პოზიციის დაცვა; გადაწყვეტილების ძიება; უნარების გამოყენება დავალების სირთულის მარტივად განსაზღვრისათვის;
- ახალი ინფორმაციის შედარება არსებულ ცოდნასთან; იდეებისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების უნარი, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის უნარი;
- ლინგვისტური კომპეტენცია: უნარი თავისუფლად, გამართულად და ფუნქციონალურად, ადეკვატურად გამოიყენოს სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა
- ლექსიკური, გრამატიკული, სემანტიკური, ფონოლოგიური კომპეტენცია;
- ჯგუფური მუშაობა, სოციაური და ეთიკური პასუხისმგებლობის გამოხატვა.

- ახალ სიტუაციაში ადაპტირების უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.

დასაქმების სფეროები: შეძენილი ცოდნა და მუშაობის უნარ-ჩვევები შეუქმნის სტუდენტს საფუძველს ცოდნის შემდგომი გაღრმავების, პროფესიონალურად ორიენტირებული სრულყოფისათვის. კურსდამთავრებული შეძლებას მუშაობას არქივში, გამომცემლობაში, ბიბლიოთეკაში, სათარჯიმნო ბიუროში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: წარმატებულ კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: ძირითადი სპეციალობის არჩევა სასურველია მესამე სემესტრიდან.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თსუ ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რესურს–ცენტრი თსუ მე–2 და მე–5 კორპუსებში. ესპანური დეპარტამენტისა ბიბლიოთეკა.

დამატებითი (minor) პროგრამა

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ესპანური ფილოლოგია

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სოფიო ფეიქრიშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს ესპანური ფილოლოგიის დარგში. ის უქმნის სტუდენტს დარგის ზოგად საფუძვლებს და სძენს ნაწილობრივ როგორც დარგის მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს ასევე პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს. პირველ რიგში გამიზნულია პრაქტიკული ენობრივი კომპეტენციების და დარგის ფარგლებში არსებითი უნარ-ჩვევების შეძენა. იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. "საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს" პარამეტრებს, რაც გულისხმობს კომპეტენციის ზრდას ნულოვანი დონიდან B[1]-მდე.

სწავლის შედეგები:

- სტუდენტი იგებს (აუდირება): ვრცელ მოხსენებას, ლექციას, თუ კი თემატიკა ცნობილია; რეპორტაჟსა და ახალ ამბებს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით; ფილმის შინაარს, თუ კი სცენარი სალიტერატურო ენაზეა დაწერილი;
- სტუდენტი იგებს (კითხვა): თანამედროვე პრობლემატიკაზე დაწერილ სტატიებსა და მოხსენებებს; თანამედროვე მხატვრული ლიტერატურას; დიდაქტიზირებულ სამეცნიერ (დარგობრივ ლიტერატურას;
- სტუდენტი (მეტყველება): შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი ენის მატარებელთან; აქტიურ მონაწილეობას იღებს დისკუსიაში ნაცნობ თემებზე; საუბრობს და არგუმენტების საფუძველზე იცავს საკუთარ შეხედულებებს;
- სტუდენტი (წერა): ნათლად და დასაბუთებულად გამოხატავს საკუთარ აზრს შერჩეულ თემაზე; ხსნის და განმარტავს საკუთარ თვალსაზრისს; ასახელებს თემასთან დაკავშირებულ პრო- და კონტრა-არგუმენტებს;

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A

81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დასაქმების სფეროები: დასაქმებას განსაზღვრავს კურსდამთავრებულის ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა ხელს შეუწყობს ანალიზის, შეფასების ექსპერტად მუშაობას.

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: ესპანური ფილოლგიის დამატებითი სპეციალობის ასაღებად სტუდენტს ძირითად სპეციალობად რომელიმე სხვა ენის პროგრამა არ უნდა ჰქონდეს არჩეული.

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: მესამე–მეოთხე სემესტრი.